№ 171

სამშაბათი, 8 აგვისტო, 1900 წ.

**გაზეთის ფასი:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 2 7

1877—1900

# ივერია

№ 171

სამშაბათი, 8 აგვისტო, 1900 წ.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციის და წერა-კითხვ.
გ. მავრც. საზოგადოების კანცელარიას

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

## ეპისკოპოსის ბესარიონის

გვამი გამოსვენებულ იქმნება არქიელის სახლიდგან ქუთაისის საკათედრო ტაძარში დასაკრძალავად ოთხშაბათს, 9 აგვისტოს, დილის 9 საათზედ. (2—б.—1)

## ფოთის საბუღალტერო კურსები

ქ. გიგინეიშვილისა.

ახალ შემომსვლელთაგან თხოვნა მიიღება ყოველ დღე. სწავლა დაიწყება პირველ ენკენისთვიდგან. მსურველთ პირობები და პროგრამები გაეგზავნება მუქთად. (15—б.—12)

## აბრეშუმის ქსოვილები

ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობისა.—ცხვირსახოცები, შარფები, თეთრი და ფერადი ქსოვილები ქალისა და კაცის ტანისამოსისათვის როგორც საპირე, ისე სარჩულები. იყიდება ქუთაისში, წერეთლის წიგნის მაღაზიაში თოფობითა და ნაჭრობით.

(50—б.—9) მმარ. ამხ. ნ. წერეთელი

## ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა დღეების გარდა

**დილით:**

**ვ. ი. ჭიჭინაძე.**—კბილის სნეულებანი. 8—10 საათ.

**გ. გ. მაღალაშვილი**—შინაგანი—9—10 საათ.

**ი. პ. ახალშენიშვილი**, კბილის სნეულებანი, 10—2—მდის.

**მ. ა. პოკროვსკი**—შინაგანი, ბავშვებისა, ბავშვებისათვის ყვავილის აცრა და ქიმიო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი 10—11 საათ.

**მიხეილ გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—11—12 საათ.

**ნ. ტ. მულიძე**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—11—12 საათ.

**გ. გ. წერეთელი**, 12—1 ს. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. ნ. შატილოვი**—თვალისა 12—1 საათ.

**მ. ლ. მარკევიჩი**—$12^1/_2$—$1^1/_2$ საათ. სადოსტაქრო.

**ი. დ. გეგთაბეგოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—$11^1/_2$—$12^1/_2$ საათ.

**საღამოთი:**

**დ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და შინაგანი—5—6 სასაათ.

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულ გამოკვლევათათვის.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები—მორიგებით. კროვატი 4 მ. დღე და ღამეში. ერთი კროვატი ღარიბთათვის უფასოა.

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგანაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი **მიხეილ გედევანიშვილი**

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**ზ. ა. ნავასარდიანი, 11—12** საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**შ. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

**ი. თ. პროტასევიჩი.** 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულის ავადმყოფობისა.

**ა. პ. ქარაპეტიანცი** $1$—$1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**საღამოობით:**

**ზ. ა. ნავასარდიანი.** $7^1/_2$—8 ს.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**ლ. ტ. არვანიტაკი**—11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმების დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

## მთავრობის განკარგულებანი

დანიშნულ იქმნენ: ჯევანშირის მაზრის საერობო დარაჯის დისტანციის უფროსად ნამყოფი და შტატ გარეშე დარჩენილი თავ. გ უ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი ქ. შუშის მეორე ნაწილის პოლიციის ბოქაულის თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებლად; განჯის გუბერნიის საერობო დარაჯის დისტანციის უფროსად ნამყოფი ალექსანდრე მ ე ლ ი ქ ო ვ ი—განჯის მე-3 ნაწილის პოლიციის ბოქაულის თანამდებობის აღმასრულებლად.

გადაყვანილ იქმნა: ერევნის გუბერნიის ახალ-ბაიაზეთის მე-3 ნაწილის ბოქაული თავ. ივანე ვ ა ჩ ნ ა ძ ე—ამავე თანამდებობაზედ ყაზახის მაზრის მე-2 ნაწილში.

დანიშნულ იქმნენ: ფოსტა-ტელეგრაფის მოხელედ ნამყოფი ნიკოლოზ ქ უ თ ა თ ე ლ ა ძ ე—ეჩმიაძინის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის მე-6 ხარისხის მოხელედ და გლეხი ლევან პ ი პ ი ა—ბათუმის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის ფოსტალიონად.

გადაყვანილ იქმნენ ერთი მეორის ადგილზედ მცირე-ჯამაგირიანი ფოსტალიონები ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორისა ვლადიმირ ტ ა ბ ა ტ ა ძ ე და ბორჯომისა—ლუკა ჩ ი ქ ო ვ ა ნ ი.

დათხოვნილ იქმნენ: სართიჭალის ფოსტის განყოფილების ფოსტალიონი ნიკოლოზ კ ვ ი რ ი კ ა ძ ე, ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის მესამე ხარისხის მოხელე ვასილ შ ა თ ი რ ი შ ვ ი ლ ი და საფოსტო სადგურის ზედამხედველი მაკარი კ ვ ი ჟ ი ნ ა ძ ე.

## ახალი ამბავი

*** ქუთაისიდგან სწერენ გაზ. „კავკაზს“: აქ, უმაღლესად ამა წლის 12 ივნისს დამტკიცებულ სახელმწიფო საბჭოს აზრის თანახმად, შესდგა გუბერნიის სადგილ-მამულო გარდასახადთა გამნაწილებელი საკრებულო სამხედრო გუბერნატორის, გენერალ-მაიორის გერშელმანის თავმჯდომარეობით. გუბერნიის საკრებულოს გარდა, სამაზრო საკრებულოებიც უნდა დაწესდეს, რომელშიაც თვით სადგილ-მამულო გარდასახადის მძლეველთაგან მიწვეულ იქმნებიან: ქუთაისის მაზრის საკრებულოში—პოდპოლკოვნიკი თავ. გ. ვ. მიქელაძე, შორაპნისაში—თავ. ბ. დ. წერეთელი, ოზურგეთისაში—გ. ტ. ჯაყელი, სენაკისაში—პოლკოვნიკი თავ. ო. ე. დადიანი, რაჭისაში—თავ. დ. ა. ყიფიანი, ზუგდიდისაში—შტაბს-კაპიტანი თავ. ლ. დ. ჩიჩუა და ლეჩხუმისაში — პოდპორუჩიკი თავ. ე. გ. გელოვანი, საოლქო საკრებულოში: სუხუმისაში—თ. ი. გ. შერვაშიძე, ბათუმისაში — სამსახურს გარეშე მყოფი ი. ი. ვორონკოვი და ართვინისაში— პოდპოლკოვნიკი ნურიბეგ-ახიმშიაშვილი.

*** ტფილისის ამიერ-კავკასიის რკინის გზის სადგურზედ უკვე ამთავრებენ რკინის გზის საავადმყოფოს ახალ სადგომის შენობას. ამ სადგომს ამ მოკლე ხანში აკურთხებენ.

*** ამ 1900 წლის პირველს ექვს თვეში გროზნის ნავთის სარეწავებში 12.958,850 ფუთი ნავთი ამოუღიათ, ამ ნავთიდგან წმინდა მოგება 300,000 მან. დარჩენილა.

*** გაათავებს რა ლორის საზოგადოებაში მუშაობას კავკასიაში ნიადაგის გამოსაკვლევად ჩამოსული პროფესსორი ვ. ვ. დოკუჩაევი, ამავე განზრახვით ბათუმის ოლქში და მუღანლოს ველზედ წავა თურმე.

*** მთავარ-მართებლის კანცელარიის გამმიჯვნელ განყოფილების ინსპექტორი, პოლკოვნიკი სტეფანოვი ამ ახლო ხანებში წავა ამიერ-კავკასიის სხვა-და-სხვა ადგილას იმ გამმიჯვნის სამუშაოთა დასათვალიერებლად.

## ფელეტონი

### მიმოხილვა
წარმართ ივერთა სარწმუნოებისა
(დასასრული *)

რევ მართალის მეუღლემ სეფელიამ, რომელიც ბერძნის მთავრის ლოგოთეთის ასული იყო, საბერძნეთით ივერიაში ჩამოიტანა აფროდიტეს (ვენერის) ძეგლი და დაადგმევინა მცხეთის მწვერვალზედ. საურმაგ მეფემან (237 წ. ქრ. წინ) ფარნავაზის ძემან, დაუდგა ძეგლები ორ ღმერთსა აინინას და დანანას (ანუ დანიანს) მცხეთის გზაზედ. მაგრამ თუ დავუჯერებთ სომხის მემატიანეთ, ამ მეფეს შემოუღია თაყვანისცემა ოთხის ღმერთისა, რომელთაგან ერთი, ბროსეს აზრით, უნდა ყოფილიყო გათა-გაიმ. ეს მწერალი იმასაც ამტკიცებდა, რომ დანიანი (დანანა) სხვა არა არის რა, თუ არ ბერძენთა ქალ-ღმერთი დიანაო, მაგრამ მაინც შეუძლებელია ითქვას, ღვთაება დანიანი (დანანა) ვაჟი იყო თუ ქალი. ჩვენი მითოლოგია ბერძნულივით როდი ჰყოფს ღმერთებს ვაჟებად და ქალებად, ამიტომაც უმეტეს შემთხვევაში ღვთაების სქესი განუსაზღვრელი რჩება. ცნობილია, რომ უზენაესი ღვთაება ჩვენის წინაპრებისა არმაზ ვაჟი იყო, რადგანაც წარმოდგენილი იყო აღჭურვილი მხედრად, რომელიც ხმალ ამოღებული იდგა. ვიცით აგრეთვე, რომ მის მარჯვნივ და მარცხნივ მდგარი ღმერთები გაც და გაიმ ვაჟები იყვნენ. ვაჟი უნდა ყოფილიყო, ჩვენის აზრით, პირვანდელი ღმერთიცა ბოჩი, როგორც ზემოდაც მოვიხსენეთ. ბერძნული მრავალ ღმერთობის გავლენა ზემო დასახელებულის ღმერთებით კი არ თავდებოდა, საქართველოს მეფეებს რო სხვა-და-სხვა დროს შემოუღიათ. ქალაქს აწყვერს მესხეთში დიდ-მშვენიერი ტაძარი იდგა და შიგ არტემის და აპოლონ ღმერთების ძეგლები, რომელთაც ქურუმები, როგორც ჩვენი მემატიანენი მოგვითხრობენ, აენთენ შურითა, იხილეს რა ერთის ქვრივის დედაკაცის სასწაულებრივ მკვდრეთით აღდგომა წმ. ანდრია პირველ-წოდებულის ლოცვა-ვედრებითა, და აყვირებდნენ ხალხსა, რომ მხოლოდ აპოლონ და არტემის არიან დიდნი ღმერთნიო. კერპთაყვანის ცემა ისე ძლიერ იყო გავრცელებული, რომ ცეცხლის კულტს, როგორც სომხეთშიაც, სახე გამოეცვალა, რა-კი უმეტესის სიცხადისათვის კერპები შეეწყნარა, თუმცა საკუთარი დასაწყისი მაინც კიდევ შერჩა. არმაზ ღმერთი ელვა-ჭექის ბრძანებელი იყო და ძე ნათლისა. ერს იგი მიაჩნდა ყოვლად ძლიერად. ამიტომ იგი უმთავრესს და უზენაეს ღმერთად აღირჩია და ცხად საყოფელად ძეგლიც აღუმართა. არმაზს ჩვეულებრივ ყოველ დღე თაყვანსა სცემდნენ, განთიადისას, სახლების ბანებიდგან. მაგრამ ვისაც მსხვერპლის შეწირვა უნდოდა, იგი მდინარეს გადიოდა და იქ ტაძრების ახლო ჰკლავდა საღმრთოსა. ამითი სჩანს, რომ ერთმანერთში ყოფილა არეული კერპთაყვანის ცემა და ზოროასტრის სარწმუნოება, რომელიც დაფუძნებული იყო, უმთავრესად, ბუნების გაღმერთებაზედ და თვისის თავდაპირველის სიწმინდის დროს არა თხოულობდა სამსხვერპლოს, არცა ძეგლსა. მრავალ ღმერთობა ხანდახან კიდეც იმარჯვებდა ცეცხლის თაყვანისცემაზედ, რადგანაც მფარველებს თითონ მეფის კარზე ჰპოვებდა. საურმაგ და მირვან (162 წ. ქრ. წ.) მეფენი ცალიერ კერპებს არ დასჯერდნენ და შემოიღეს ზარითა და გამოჩვენებით კერპ მსახურება და ბრწყინვალება ამ კულტისა ერის გუნებისად და გემოვნებაზედ. მაგრამ მოგვობის ქურუმთა მისწრაფებას, რომ თავიანთი სარწმუნოება სიწმინდით დაეცვათ, უნაყოფოდ არ ჩაუვლია და რა გამოხდა მცირეოდენი ხანი მირვანის სიკვდილს შემდეგ, იმანაც იპოვა მცველად ფარნაჯომ მეფე (144 წ. ქრ. წ.). „ქართლის ცხოვრების“ თქმით, ამ მეფემ შეიყვარა სპარსთა სარწმუნოება, სპარსეთით დაიბარა ცეცხლის მსახურნი და მოგვნი, რომელნიც დაასახლა დედა-ქალაქს მცხეთას მოგვთა უბანში და თითონაც მოურიდებლად დაუწყო ძაგება კერპ თაყვანისცემას. მაგრამ ქართველებმა იგი მოიძულეს და მამულით განდევნეს, რადგანაც, იმავე მატიანის სიტყვით, თავიანთ კერპებს ფრიად ესვიდნენ. რა-კი ფარნაჯომ მეფეს კერპთა დევნისათვის ასეთი ბედი ეწია, ძნელი დასაჯერებელია, რომ ზადენ ღმერთის თაყვანისცემა შემოეღოს ამ მეფეს. მან მხოლოდ აღადგინა მისი ტაძარი, რომელიც ჯერ კიდევ ერთმთავრობის წინა დროებში იყო აგებული. თეიმურაზ მეისტორიეს სიტყვით, ზადენი წარმოადგენდა ბერძნის ზევსსა, მაგრამ თუ ჩავუკვირდებით მის ნაუწყებს, რომლის ძალითაც მთას, სადაც ამ ღმერთის ძეგლი იდგა, ზედაზენი ეწოდა, უნდა აღვიაროთ, რომ ზადენი სხვა არა არის-რა, თუ არ ზედანი, რომელიც შემოკლებული ზედაზენია, სიტყვა აღმნიშვნელი მწვერვალისა, ანუ მაღლობ მთიან ადგილისა. ამიტომ უფრო დასაჯერებელი უნდა

*) იხ. „ივერია“ № 168.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბლად, რომელიც შესრულებულ იქ-ამ წლის გამიჯვნის განყოფილების მიერ დაგზავნილ მიწის-მზომელთა მიერ.

*** პარასკევს, 4 აგვისტოს, ტფილისის გუბერნატორის კანცელარიის სადგომში სხდომა ჰქონდა ტფილისის გუბერნიის სადგილ-მამულო გარდასახადთა გამნაწილებელს საკრებულოს. სხდომას უნდა გამოერკვია რამდენი წევრი იქმნას გარდასახადის მძლეველთაგან სამაზრო გარდასახადის გამნაწილებელ საკრებულოებში და აგრეთვე უნდა დაედგინა, რა სახის განცხადებანი უნდა შეეტანონ ხოლმე სადგილ-მამულო გარდასახადის მძლეველთ ამა საკრებულოებში. შეიმუშავა რა განცხადების შინაარსი, საკრებულომ დაადგინა: ყოველს სამაზრო საკრებულოში ექვს-ექვსი კაცი იქმნას მიწვეული სადგილ-მამულო გარდასახადთა მძლეველთაგან გარდასახადის განაწილების დროს მონაწილეობის მისაღებადაო.

*** პარასკევს, 4 აგვისტოს, ქალაქის გამგეობას აცნობა მისმა წევრმა თავ. არღუთინსკი-დოლგორუკოვმა, რომ სამხედრო უწყებაზედ დღემდის წყლის შემოსატანი გარდასახადის დარჩენილი 20,000 მანეთი, რის გამოც ბევრი მიწერ-მოწერა გვქონდა, მაგრამ ვერაფერს გავხდითო. გამგეობამ, განიხილა-რა ეს საქმე, დაადგინა წარუდგინოს მოხსენება ტფილისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელს და სთხოვოს შემწეობა აღმოუჩინოს გამგეობას სამხედრო უწყებისაგან წყლის დარჩენილ გარდასახადის მიღების საქმეშიო.

*** როგორც ქალაქის საყასბოს ბეითლის მიერ ქალაქის გამგეობაში წარდგენილ ცნობებიდგან სჩანს, ქალაქის საყასბოში ამა წლის ივლისის თვის განმავლობაში დაუკლავთ 4635 სხვილ ფეხი საქონელი, 217 ხბო და 19,004 ცხვარი; სანიტარულ გასინჯვის დროს დასაკლავად მიყვანილ საქონელზედ შეუმჩნევიათ სხვა-და-სხვა სნეულებანი: 2482 სხვილფეხა საქონელზედ, 7505 ცხვარს და 4 ხბოზედ. საყასბოს ბეითლის განკარგულებით სხვა-და-სხვა მიზეზების გამო არ დაუკლავთ: 3 ძროხა, 1 ხარი, 3 კამეჩი, 6 ხბო და 1 ცხვარი.

*** ორშაბათს, 7 აგვისტოს, პოლიციის მე-8 ნაწილის ბოქაულმა შეუთვალა ქალაქის გამგეობას, რომ საჭიროა ეხლავე ღონისძიება იქმნას მიღებული მეტეხის კლდის შესამაგრებლად, რადგანაც ამ კლდიდგან ქვები ცვივა ძირს და შესაძლებელია რაიმე უბედურება მოხდესო.

*** ფოთი. პარასკევს, 4 აგვისტოს, ყოვლად სამღვდელომ გურია-სამეგრელოის ეპისკოპოსმა ალექსანდრემ ადგილობრივ სამღვდელოების თანახლებითა და საზოგადოების თანადასწრებით პანაშვიდი გარდაიხადა ახლად გარდაცვალებულის იმერეთის ეპისკოპოსის ბესარიონის სულის მოსახსენებლად. 5 აგვისტოს, პეტერბურგიდგან ეპისკოპოსმა ალექსანდრემ შემდეგის შინაარსის დეპეშა მიიღო მისის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესის, საქართველოს ექსარხოსის ფლაბიანესაგან: „გთხოვთ დაასაფლაოთ განსვენებული ეპისკოპოსი ბესარიონი და მისის გარდაცვალების ამბავი აცნობოთ უწმიდესს სინოდს“.

*** პარასკევს, 4 აგვისტოს, საღამოს 10 საათზედ, ავლაბარში კახეთის ქუჩაზედ, მარტიროზოვის სახლში, მისულა სპარსეთის ქვეშევრდომი ოსკარ მამედ-იბრაგიმ-ოღლი თავის ცოლთან, კერბალაი-ბიგრამ-კიზისთან, რომელიც დიდი ხანია გაგდებული ჰყოლია, და ჩხუბი აუტეხნია, რომლის დროსაც ცოლს ქმარი მუცელში მძიმედ დაუჭრია. დაჭრილი მიხეილის სამკურნალოში იქმნა გაგზავნილი, ხოლო დამნაშავე დააპატიმრეს.

## ჭიათურის შავიქვის მრეწველთა მესამე მორიგი კრება.

29 ივლისი

კრებას ესწრება ას-ორმოცდა-ათზედ მეტი წევრი და მრავალნი გარეშენი.

**თავმჯდომარე.** მე გუშინ კარგად ვერ მივხვდი, კრება მეორე მდივნად ვის ირჩევს: დავით მდივანს, თუ პოლიკარპე მდივანს.

**ხმები:** პოლიკარპე მდივანს.

**თავმჯდომარე.** ვრცელის ოქმების შედგენა დიდ დროს ითხოვს, მდივანს უძნელდება მათი შედგენა, რადგან კრება დილითაც ხდება და საღამოთიც. ამის გამო ოქმის შედგენაში ამნაირს წესს მივმართე: გადაწყვეტილება კრებისა იმავე დღეს იქნება ჩაწერილი და წაკითხული, ხოლო ვრცელი ოქმები ორის-სამის დღის შემდეგ იქნება წარმოდგენილი.

**ზდანოვიჩ გ. ფ.** გუშინ ჩვენ ვილაპარაკეთ იმ ზომების შესახებ, რომლის შემწეობით გვინდა გავაუმჯობესოთ მუშების მდგომარეობა. მე მაშინ დამავიწყდა მომეხსენებინა ერთი გარემოება. როცა ხმა დავარდა, რომ ჭიათურაში საშიში ავადმყოფობა გაჩნდაო, ადმინისტრაციამ ამ ავადმყოფობის მოსასპობლად განსაკუთრებული ზომები მიიღო. იმან შეიძინა მშვენიერი წყარო, სახელად „ბოგატირ“. შემდეგ, როცა შიშმა გაიარა, ის ზომებიც შეჩერებულ იქმნა. საბჭო ჰგრძნობდა საჭიროებას, რომ ეს წყარო შეეძინა თავისს საკუთრებად და ამ აზრით მიართვა ბ-ნ გუბერნატორს შუამდგომლობა, რომ წყარო დაეთმოთ საბჭოსთვის. ამავე დროს რკინის გზის ინჟენერმა ოჰანეზოვმაც მიჰმართა გუბერნატორს, რომ რკინის გზის მმართველობას მისცემოდა უფლება ამ წყაროთი ესარგებლა თავისის საჭიროებისათვის, ამასთან პირობას უდებდა რკინის გზა, რომ ამ წყაროდგან გაიყვანდა ერთს მილს სავაჭრო მეიდანზედ მცხოვრებთა საჭიროების დასაკმაყოფილებლად. ბ-მა გუბერნატორმა ეს უფლება უბოძა რკინის გზის გამგეობას. როგორც ჰხედავთ, რკინის გზას შეუძლიან ისარგებლოს ამ წყაროთი, ხოლო კუთვნილებით-კი ჩვენ გვეკუთვნის. შემდეგ კრების საბჭომ სთხოვა რკინის გზის გამგეობას, გაეკეთებინა მილები გზების მოსარწყავად და სასმელად. ჩვენი თხოვნა გამგეობამ აასრულა იმ პირობით, რომ დახვეტა გზებისა და მორწყვა ჩვენის ხარჯით ხდებოდეს, მორწყვისათვის ხელსაწყობების შეძენა დაგვჭირდება.

**ხმები:** მაგის წინააღმდეგი არავინ არ არის, უეჭველად შევიძინოთ.

**მოდებაძე კარ.** ვეკითხები ბ-ნ ზდანოვიჩს, ეხლა ვის ეკუთვნის ეს წყარო?

**ზდანოვიჩი გ. ფ.** წყარო მისმა პატრონმა გარდასცა ადმინისტრაციას ნასყიდობით, ხოლო ადმინისტრაციისაგან ჩვენ შევისყიდეთ 600 მანათად. რკინის გზას მხოლოდ სარგებლობის უფლება აქვს. ამ საგანზედ მქონდა ლაპარაკი რკინის გზის უფროსთან და, თუ რაიმე უსიამოვნება მოგვიხდა, ჩვენ, ვითარცა მესაკუთრეს, შეგვიძლიან ავუკრძალოთ სარგებლობა.

**მოდებაძე კარ.** რკინის გზა უფრო მეტს სარგებლობს, ვიდრე ჩვენ.

**შოშიტაძე ზ.** (ექიმი). საინტერესოა გავიგოთ, ამ წყაროს შეუძლიან დააკმაყოფილოს ორივეს მოთხოვნილება?

**ზდანოვიჩი გ. ფ.** ამ წყაროს გარდა ჩვენ ვფიქრობთ სამკურნალოსთვის მილის გამოყვანას. ხოლო ამ წყაროს წყალს ვიხმარებთ მარტო მცხოვრებთა სასმელად და გზების მოსარწყავად.

**სოლოვიოვი ა. ზ.** ეს წყარო იმდენ წყალს იძლევა, რომ საკმაოა რკინის გზის მოთხოვნილებისათვისაც და მცხოვრებთა დასაკმაყოფილებლადაც.

**მოდებაძე კარ.** მე მაინც არ მესმის, ვისი საკუთრებაა ეს წყარო? ჩვენ გვეუბნებიან, რომ იგი ჩვენი საკუთრებაა, ხოლო საქმით სულ სხვას ვხედავთ: რკინის გზას უფრო ეკუთვნის, ვიდრე ჩვენ. მე მსურს გავიგო, ვის გამოჰყავს ახალ სოფელზე მილით წყალი?

**ზდანოვიჩი გ. ფ.** რკინის გზის გამგეობას.

**მოდებაძე კარ.** თვალ-ყური უჭირავს საბჭოს?

**ზდანოვიჩი გ. ფ.** არა.

**მოდებაძე კარ.** მე ვნახე ის მილები და უნდა მოგახსენოთ, რომ რკინის გზას თავისის საჭიროებისათვის დიდრონი მილებით გაჰყავს წყალი და მცხოვრებლებისათვის-კი პატარა მილებით.

**პრინცი ნ. ზ.** საგუბერნიო გამგეობამ რომ რკინის გზას სარგებლობის ნება მისცა, ვალდებულიც გახადა იგი, ერთნაირის ზომის მილები გაეყვანა თავისის სასარგებლოდაცა და სოფლისათვისაც.

**თავმჯდომარე.** აქ ლაპარაკია წყაროს შეძენის შესახებ. კანონის ძალით, შეძენისათვის უნდა ნებართვა ავიღოთ მიწად-მოქმედების და სახელმწიფო ქონებათა მინისტრისაგან.

კრებამ ერთხმად გადასწყვიტა ამ წყაროს შეძენა და საბჭოს დაავალა აღძრას შუამდგომლობა სამინისტროს წინაშე, რომ ამ შეძენის უფლება მიეცეს კრებას საბჭოს სახელით.

შემდეგ კრება შეუდგა პროგრამის მეთოთხმეტე საკითხის განხილვას, ე. ი. „სამრეწველო პოლიციის ცვლილებათა შესახების საქმისას“.

**ნ. ზ. პრინცი.** კითხულობს მოხსენებას, საიდგანაცა სჩანს, რომ სამრეწველო პოლიციის ბოქაული დატვირთული ყოფილა დიდძალის საქმეებით, ისე რომ ერთს ბოქაულს არას გზით არ შეუძლიან ამდენ საქმეს თავი აართვას; ამის გამო ბ-ნი პრინცი საჭიროდ ჰრაცხს მოემატოს პოლიციის შტატს ბოქაულის თანაშემწე და საქმეთ მწარმოებელი; ამათი შენახვა მრეწველთ დაუჯდებათ ას ოც თუმანზედ ცოტა მეტი.

**ბექრაძე კ. დ.** ჭიათურის სამრეწველო ბოქაულს მრეწველობის საქმეების გარდა, სხვა საზოგადო საპოლიციო საქმეებიც აბარია. მე ვფიქრობ, რომ თუ მართლა იგი სამრეწველო ბოქაულია, მარტო ჩვენს საქმეებს უნდა ასრულებდეს. ამიტომ საჭიროდ მიმაჩნია ვიშუამდგომლოთ, რომ ეს ბოქაული განათავისუფლონ საპოლიციო საზოგადო საქმეებისაგან.

**ზდანოვიჩი გ. ფ.** ეს საკითხი აღიძრა კრების პირველ სხდომაზედ ამ ორის წლის წინად. ჩვენს ანგარიშში მოხსენებულია ეს შუამდგომლობა ბოქაულის შესახებ, მაგრამ აქამდის პასუხი არ მიგვიღია. თუ ხელახალს შუამდგომლობას აღძრავს კრება, ეს მისი ნებაა. ჩვენ ვთხოვეთ ბ-ნ გუბერნატორს, რომ 10 სამრეწველო ჩაფრებიდგან 5 დაგვენიშნებინა სამრეწველო სოფლებს შორის და ამის ნება-რთვა მივიღეთ კიდეც.

**სამრეწველო ბოქაული.** მე ვთხოვ კრებას, ჩაფრების რიცხვი გაადიდოს 20-მდე მაინც, თუ 30-დე არა. ეს აუცილებელ საჭიროებად მიმაჩნია.

**თავმჯდომარე.** როგორც ჰფიქრობთ, ეხლანდელი ჩაფრები რომ საპოლიციო მოვალეობისაგან განათავისუფლონ, მაინც საჭირო იქმნება მათის რიცხვის გამრავლება?

**ბოქაული.** დიახ, საჭირო იქნება.

კრებამ გადასწყვიტა აღძრას ხელახლად შუამდგომლობა, რომ სამრეწველო პოლიცია განთავისუფლებულ

---

იყოს, რომ ხსენებულ ღვთაებას სახელი მიეღოს თითონ მთისაგან. მისის ტაძარი იდგა ისეთ სიმაღლეზედ, რომ იქ ასასვლელად საჭირო იყო ველა სამის მთისა, რომელიც ერთიმეორის უმაღლესი იყო. ზადენი, ისე, როგორც არმაზ, იყო ქვეყნის მპყრობელი, მზის-მომფენელი, წვიმის მომყვანი, მიწით მცენარეულობის აღმორძინებელი და ქართლის გამომზრდელი.

ზარი და გამოჩვენება საურმაგ და მირვან მეფეებმა რომ შემოიღეს ქურუმ-მსახურებაში, ნებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ მაშინდელ წარმართ სამღვდელოებას თავისი ორგანიზაცია უნდა ჰქონოდა. სამწუხაროდ, ჩვენი მატიანენი აქაც დალაგებულს არაფერს გვაუწყებენ. იმ ცოტა მასალითაც-კი, რასაც აქა-იქ გაფანტულს ვხედავთ, შეგვიძლიან ვთქვათ, რომ ეს სამღვდელოება ორ დასად იყო გაყოფილი: ქურუმებად და ხევის ბერებად. ქურუმებს საღვთო ცეცხლი ებარათ (ქურუმი წარმომდგარია სიტყვისაგან ქურა, რომელიც კერას ჰნიშნავს). იმ დროსვე ღმერთებსაც ემსახურებოდნენ, და, როგორც ზემოდაც მოვიხსენეთ, ახალგაზრდებს ასწავლიდნენ ზოროასტრის რჯულის კანონებს. ხევისბერები ვალდებულნი იყვნენ ექადაგნათ და ესწავლებინათ რჯული იმ თემისათვის, რომლის არჩეულადაც იგინი ითვლებოდნენ. მათ ორივეს ეკუთვნოდათ შემოწირულების პირველი ნაწილი. მეორე ნაწილს გამოალაგებდნენ ტაძრის ახლო დიდ დარბაზში, სადაც მიიწვევდნენ უცხო თემელ ღარიბ მლოცველებს. მესამე ნაწილს შუა უყოფდნენ ლატაკებსა და დავარდნილებს, ხოლო ოქრო, ვერცხლი და სპილენძი, სხვა-და სხვა ჭურჭლები და სატაძრო ნივთები თითონ ტაძრის საკუთრებას შეადგენდა.

რაც ზემოდ მოვიხსენეთ, მისგან შესაძლოა დავინახოთ, რომ სარწმუნოება წარმართ საქართველოში შემოდიოდა საბერძნეთით (ღმერთები აპოლონ, არტემის, აფროდიტე) და სპარსეთით (ღმერთი არმაზ ანუ ორმუზდ), მაგრამ სრულიად უვნებლად ქართველთ საერო ღმერთთათვის (ბოჩი, ზადენი), რადგანაც ამათ თაყვანის ცემას უწინდელებრ ადგილი ჰქონდა. რაც შეეხება სხვა ღმერთებსა (გაც, გაიმ და სხ.), მათი სახელები არც ბერძენთ და არც სპარსელთ მითოლოგიაში არ იპოვება. ამიტომ, მათი სადაურობა ძნელი ასახსნელია. საქართველო ძველად თავშესაფარად ჰქონდათ აზიის მრავალ სხვა-და-სხვა მოდგმისა, ენისა და რჯულის ხალხს, რომელთაგან ზოგი აქ იდებდა სამუდამოდ ბინას, რომ ჩვენს ერადობას შესისხლ-ხორცებოდა ჩვენის ენისა და ზნე-ჩვეულების მიღებით, ზოგი დროებით მკვიდრობდა და მერე იხიზნებოდა ევროპის უდაბნოების გასაშენებლად, ზოგიც პირდაპირ გზად გადიოდა. ყოვლად შესაძლებელია, რომ ამ ძველ რჯულთა ჩვენს ქვეყანაში შეხვედრა და შეტაკება მათი ერთმანეთთან და კიდე ცალკე ჩვენ წინაპართა სარწმუნოებასთან ქართულის მითოლოგიის ზოგიერთის ღმერთის უცნაურობისა და მისი ბუნების აუხსნელობის მიზეზი იყოს. მაგრამ ვინც ამ მითოლოგიას შეისწავლის, უთუოდ იპოვის იქ ნათლის კულტს, რომელიც მამასახლისთა დროს გამოიხატა ცისმნათობთა და ბუნების მოვლინებათა, როგორც ელვა-ჭექისა და ქუხილის, თაყვანისცემით და წარმართ ერთ მთავართა დროს ცეცხლის გაღმერთებით, იმ ცეცხლისა, რომელიც აქამომდე საქართველოს ერის, მეტადრე მდაბიოთაგან დიდად პატივცემულია. იგი, როგორც სიწმინდე, მუდამ ფრთხილად ინახება კერაში, სადაც უმისობა დიდის უბედურების ნიშანია. ეს ჩვეულება ყველაზედ უფრო იციან ახალწლის ძალში, როცა კერაზედ სდებენ დიდ ნამორს, რომ ცეცხლმა გაუქრობლად მიატანოს წყალკურთხევამდე.

თუმცა წარმართობრივი სარწმუნოება საქართველოში ისე არ იყო განვითარებული და განწესიერებული, როგორც კლასსიკური მითოლოგია, მაგრამ მაინც გაუსწორა ზნეობა ქართველებს, კაცის ზორვის მოსპობით და გონებითაც წინ წასწია, მოამზადა რა იგინი, რათა მიეღოთ უფრო წმინდა კულტი, ე. ი. კულტი ერთ ღმერთობისა და ურთიერთ შორის ძმურის სიყვარულისა, რომელსაც ჰქადაგებდა მაცხოვარი ქვეყნისა. თუ მართალია, რომ ქრისტიანობის გავრცელება ითხოვდა სწავლა-განათლებით გაპატივებულ ნიადაგს, საქართველოს თავი უნდა მოსწონდეს, რომ საბერძნეთისა და რომისა არ იყოს, იგი ეღირსა ღვთაურის სიტყვის გაგონებას თითონ წმ. მოციქულთა ანდრია პირველ წოდებულისა და სიმონ კანანელის ბაგეთაგან და ქრისტეს სარწმუნოების ზიარ ყოფას იმავ დროს, როცა იგი გამოცხადდა უმთავრესს სარწმუნოებად მთლად აღმოსავლეთ საბერძნეთში, ე. ი. ბერძენთა და რომაელთათვის კონსტანტინე დიდის და ქართველთათვის მირიან სასანიან მეფის დროს.

პეტრე მირიანაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა



იქმნას საზოგადო საპოლიციო მოვალეობისაგან, ხოლო ჩაფრების რიცხვის გადიდების შესახებ შემდეგ ალიძრას ბაასი, როცა ამ შუამდგომლობის პასუხს მივიღებთო.

ჟღენტი გ. სამრეწველო ბოქაული დაყენებულია მრეწველთა საჭიროებისათვის: საჭიროების დროს ყველას უნდა ჰქონდეს თანასწორი უფლება თავისუფლად მივიდეს და თავისი გაჭირვება აცნობოს. სამწუხაროდ ეს ასე არ არის: ბოქაული კანცელარიაში არავის უშვებს.

თავმჯდომარე. ეგ საქმეს არ შეეხება: თუ ბოქაული ასე იქცევა, მიჰმართეთ მისს უფროსს.

ჟღენტი გ. რათ გვინდა იმისთანა ბოქაული, რომელიც ჩვენს საჭიროებას არ მოისმენს.

თავმჯდომარე. მე გთხოვთ წესს ნუ არღვევთ.

კრება მცირე ხნით შეწყვეტილ იქმნა.

## წერილი დ. ზუგდიდიდგან.

გონებითის განვითარების მხრივ ისეთი დაქვეითებული და ყველაზედ უკან ჩამორჩენილი დაბა, როგორიც არის ზუგდიდი, არსად გვეგულება. ბუნებრივ-მდებარეობით, ჰავით, ნიადაგით, გარეგნულ სიმშვენიერე-სიკეკლუცით ბუნებას ზუგდიდი უხვად დაუჯილდოვებია. ტყუილად-კი არ ჰქონდათ სამეგრელოს მთავრებსა ზუგდიდი თავის მუდმივ სატახტო ქალაქად ამორჩეული! აქაური ქალაქის ორი, თანასწორად გაყვანილი, თითქმის ნახევარ ვერსტზედ გაჭიმული ბულვარი შუაში მოკამკამე ჩქრიალა მდინარით, თავით ბოლომდე რიგზედ ჩამომწკრივებულ საუცხოვო ჩინარებით ვის ყურადღებას არ მიიქცევს? ზუგდიდის საუცხოვო, სამეგრელოს უკანასკნელის მთავრის დავით დადიანის მიერ ნაშენის საუკეთესო ბაღით გემაზედაა გაშენებული ე შემდეგში მთავრის მეუღლის ეკატერინე ჭავჭავაძის ასულის მიერ საგვარეულოდ გაუმჯობესებულია ბაღი, სადაც უცხო-ქვეყნის იშვიათი მცენარენი ჰხარობენ.

ჰხედავთ ქალაქის გარეგან სიმშვენიერეს, აფიორდებით მის შესამჩნევსა ქონებრივს წინწაწევას და უზომოდ გიხარიანთ, მაგრამ ამავე დროს, ნათლად წარმოიდგენთ რა ზუგდიდის განათლების გზაზედ კუს ნაბიჯით სვლას, გული გიკვნესით და სწუხარება მოგიცვამთ. ეგ მწუხარება მაშინ უფრო გიორკეცდებათ, როცა არავისა ჰხედავთ უგულმართობის წინააღმდეგ ხმას ამამაღლებელს, როცა არავინ სცდილობს სიბნელის ფარდა აგვხადოს და ნათელი მოგვაშუქოს, დაგვანახვოს ჩვენი დამაბრუნება, უკან ჩამორჩენა, გაგვიღვიძოს თვით ცნობიერება და თვით-გაუმჯობესობის გზაზედ დაგვაყენოს! იმედი გესპობათ, როცა უბნების მხრივ სრული გულ-გრილობა გეხსირებით თვალში და თვით-განვითარებისა და კეთილ-დღეობის გზაზედ დადგომის ზრუნვის სანაცვლოდ, უთავ-ბოლო ქეიფობა-დროსტარებას, ზომას გადაჭარბებულ ჩაცმა-დახურვას, მთელის დღეღამეობით „დუ-შამი“-სა და ბანქოს კარკიტში ფულებისსა და ჯან-ღონის უგუნრად ფლანგვას საშინლად მაგრად გადგამს ფესვი!

ჰზრუნავს ვინმე ზუგდიდში რაიმე საზოგადო სასიკეთო საგნისთვის? სადა გვაქვს ერთიც არის ხეირიანი წიგნის საკაჭრო, რომ ქართველს კაცს შეეძლოს ქართულის წიგნის შეძენა?! „ქართული წიგნი ვის რად უნდა, როცა ჩვენს დროში არავინ კითხულობს“-ო გიპასუხებენ, თუ სადმე მოითხოვეთ იგი. ან მოგვეპოვება რაიმე გონების გასართობა-განმავითარებელი დაწესებულება, თუნდაც წიგნთ-საცავ-სამკითხველო? არა და არა! ვითომ ღარიბ ღატაკნი, უღონონი გართ? სრულიად არა! გული და გრძნობა არა გვაქვს, მით საოცარს გულ-გრილობას დაუმონებივართ.

რას მივაწერთ ის ჩვენთვის მეტად სასიარცხვილო გარემოება, რომ შარშან წინ დიდის ვაი-ვაგლახით დაარსებული სამკითხველო, არ გასულა ერთი წელიც, ისევ მიიკეტა, თუ არ ჩვენს გულგრილობა-დაუდევრობასა და გონების ფუქსავატობას! რად წაილო საბრალო სამკითხველომ თქვენი ჭირი? მად, რომ მას ყველა მტრულად უცქეროდა, წიგნების საკითხავად არავინ დადიოდა და სრულიად ღვთის ანაბარად იყო მიტოვებული.

ჩვენმა მომმე მეზობლებმა გურულებმა კარგად შეიგნეს განათლების მნიშვნელობა და იმდენი მხნეობა და სულიერი ძალა გამოიჩინეს, რომ მათ და სასიქადულოდ სამკითხველოებითა და სკოლებით ოხობას ქსელივით მოჰფინეს თითქმის ყველა დაბა-სოფელი. ეტყობა, იქ ჩვენსავით არა სძინავთ, არამედ ცოცხლობენ და იბრძვიან. ჩვენც არა „სულ ძილი და ძილი“, არამედ საქმე და ცხოვრებასთან ბრძოლა გვჭირია!.. ამ საქმის დაწყება, წინ გამღოლა, ჩვენი შთაგონება ვალად აძევს შეგნებულს ნაწილს ჩვენის საზოგადოებისას. იმედია, „შეგნებულნი“ ბნელში მყოფთ თვალს აუხელენ და ბევრს კარგს დაგვანახვებენ. „ინტელიგენტებისაგან“ ბევრს სიკეთეს მოველით და სამკითხველოსთან ერთად უთუოდ სხვასაც რასმე შეგვქმნენ!

ვერმიცანაშვილი.

## უცხოეთი

—

ჩინეთი. დეპეშებიდგან უკვე შეტყობილი ექმნებათ მკითხველებს, რომ მოკავშირე სახელმწიფოთა ჯარმა უკვე შეარღვია პეკინის კარი და შევიდა ჩინეთის ამ სატახტო ქალაქში. ევროპის ჯარის პეკინში შესვლას ის მოჰყვა, რომ უკვე საბოლოოდ გამოირკვა საელჩოთა და ელჩთა მდგომარეობა: როგორც იგივე დეპეშები იუწყებიან, ჯარს საელჩონი უვნებლად დახვედრია. პეკინი-კი დაპყრობილ იქმნა, მაგრამ სად არიან ჩინეთის მხნე ქვრივი-იმპერატრიცა და უძლური იმპერატორი, აქამდე არავინ უწყის. მაინც, რაკი მოკავშირე სახელმწიფოთა ჯარმა ფეხი შედგა თვით პეკინში, ამიერიდგან ჩინეთში მომხდარი ამბები უფრო სინამდვილით მოაწევს ევროპის ყურამდე და მოკავშირეთა ჯარის უოველი მოძრაობა და მდგომარეობა უფრო მართლად შესტყობი გახდება, იმ ჯარისა, რომელსაც აქამდე ერთი საერთო ხელმძღვანელი სარდალი არა ჰყავდა და არცა-კი ასეთი სარდალი ეგულება. როგორც 2 აგვისტოს გაზეთებში დაბეჭდილ რუსეთის მთავრობის ცნობებიდგანა სჩანს, გერმანიის იმპერატორს ვილჰელმს მიუმართავს, ევროპის სხვა სახელმწიფოების მთავრობათა შორის, რუსეთის იმპერატორისათვის და შეჰკითხვია, თქვენის მხრივ დაბრკოლება ხომ არა იქმნება-რა, რომ ჩინეთში მყოფ საერთაშორისო ჯარის მოქმედების ხელ-მძღვანელად და მთავარ-სარდლად დანიშნულ იქმნას გერმანიის ფელდმარშალი გრაფი ვალდერზეო. რუსეთის იმპერატორს პასუხად შეუთვლია: დაბრკოლებას არა ვხედავ, რადგან ჩინეთში ამ ჟამად ესოდენ დიდძალი ჯარია ევროპის სახელმწიფოებისა, რომ მართლაც საჭიროა ერთი ხელმძღვანელი და განმკარგულებელი ჰყავდეთო და ვრაფს ვალდერზეს-კი, ვითარცა ფელდმარშალს, უპირატესობაუფლება აქვს ასეთ ხელმძღვანელად იქმნას დანიშნულიო. გრაფი ვალდერზე ჩინეთში გენუიდგან წავა თურმე და რომში შესდგება მცირეოდენს ხანს, რათა მეფე-დედოფალს წარუდგეს. „Times“-ის სიტყვით, გერმანიის გაზეთები სწერენ თურმე, რომ გრაფი ვალდერზე მოკავშირე სახელმწიფოთა ჯარის მთავარ-სარდლად ჩინეთში ინგლისის ვერაგობის წყალობით იქმნა დანიშნულიო. ინგლისს უნდოდა, რომ ამ ძნელსა და პასუხ-საგებელს თანამდებობაზედ გერმანიის ავიცერი დანიშნულიყო, რომ გერმანია სამსოფლიო პოლიტიკის ხიფათსა და დავიდარაბაში უფრო მეტად იყოს ჩათრეულიო. როდესაც ჩინეთში ასე სწარმოებს საქმე, გამოჩენილი ლიხუნ-ჩანგი ყოველ გვარის დაპირებით სცდილობს დიდ სახელმწიფოთა დამშვიდებას: ჩინეთი სა ჭირო სათვინისო და სასამართლო ცვლილებით შემოიღებს, მოუწოდებს კონგრესს ევროპისა და ამერიკის იურისტებისას, რათა მათ სისხლის სამართლის დებულება შეადგინონ ჩინეთისათვის. დააწესებს საერთაშორისო სასამართლოს ისე, როგორც ეგვიპტეშია, და თავისს სასწავლებლებში უცხო ქვეყნელ მასწავლებლებს მოიწვევსო.

—

ინგლისი და ტრანსვაალი. გაზ. „Temps-ი იმ აზრისაა, რომ ამ უკანასკნელ ორის კვირის განმავლობაში პრეტორიის გარშემო შესანიშნავი ამბები ხდება და ინგლისის ჯარს უფრო ძლიერ ამარცხებენ, ვიდრე სპიონსკოპთან ამარცხებდნენო. ინგლისის მთავრობა ყოველსავე ღონისძიებასა ჰხმარობს, რომ არ გამოაქვეყნოს ეს გარემოება, მაგრამ ერთი საბუთი აშკარად ჰყოფს, რამდენად შესაბრალისს მდგომარეობაშია და საშიშოა ამ ჟამად ინგლისის ჯარის მდგომარეობა ტრანსვაალშიო. ეს საბუთი ოფიციალური ცნობებია თურმე მოკლულთა და დაჭრილთა. 4 ივლისს (ახ. სტ.) მათი საერთო რიცხვი ყოფილა 29,706, 10 ივლისს—30,693, 18 ივლისს—32,520 და, დასასრულ, 2 აგვისტოს—36,559. ამ გვარად, სამის კვირის განმავლობაში ყოველ კვირა ინგლისის ჯარს მოჰკლებია ორი ათას—ორი ათასი კაცი. მას შემდეგ, რაც ინგლისელებმა გამოაცხადეს, რომ ტრანსვაალში ბრძოლა გათავებულიაო, ბურები უწინდელზედ მეტს ინგლისელებსა ჰხოცავენ. ყოველ კვირა რომ ისე ჰმარცხდებოდეს ინგლისი, როგორც სპიონსკოპთან იქმნა დამარცხებული, მთელი ინგლისი ყვირილსა და კვნესას მორთავდაო, და აგერ, ამბობენ, რომ ინგლისს ერთის თვის განმავლობაში ყოველ კვირა 800 კაცით მეტი მოჰკლებია, ვიდრე სპიონსკოპთან ყოფილს ბრძოლაში. გაიხსენეთ ამასთანავე, დასძენს გაზეთი, ინგლისელთა ამაო ცდა ბოტასა და დევეტის დამარცხებისა. თვით მთავარ-სარდლის რობერტსის მდგომარეობაც სახარბიელო არ არის: იგი იძულებულ იქნა მიდგომოდა თაურ-გან გაეღაშქრა და ამასობაში ბურებმა და დელარეიმ პრეტორიას დაუწყეს მუქარა.

— ევროპის ბანკებში ამ ჟამად ინახება თურმე ბურების სახელმწიფოს თანხა $7^1/_2$ მილიონი გირვანქა სტერლინგი, რომელიც ბურების 15 წარმომადგენელს შეუტანია იმ პირობით, რომ გამოიტანა მხოლოდ ზავის შეკვრის დღიდგან ერთის წლის შემდეგ შეეძლოთ. ეს ფული გადადებული აქვთ თურმე სამხრეთ აფრიკაში ბურების ინტერესების დასაცველად.

— გაზ. „Daily Mail“-ის კორესპონდენტს შემთხვევა ჰქონია 8 აგვისტოს (ახ. სტ.) კრიუგერთან ლაპარაკისა. კრიუგერს უთქვამს: ტყუილია ის ხმა, ვითომც მე დამორჩილებას ვაპირებდე, პირ-იქით, მტკიცედ მსურს განვაგრძო ბრძოლაო. მაგისთანა ხმებს ინგლისელები ავრცელებენ, მაგრამ ერთხელ და სამუდამოდ იცოდნენ, რომ ბრძოლა ჯერ გათავებული არ არის, ჯერ დიდხანს გასტანს და რაც უნდა დაგვემართოს, მაინც არ შევწყვეტავთ ამ ბრძოლასაო.

— გაზ. „Пет. Вѣд.“-ის კორესპონდენტს ულაპარაკნია იმ პირიქის გამოფენაზედ მყოფ ბურებთან, რომელთაც ინგლისელებთან ომში მონაწილეობა მიუღიათ. საყურადღებო აზრი გამოუთქვამს ერთს ბურს იმ სიმნელეთა და დაბრკოლებათა შესახებ, რომელიც ინგლისელებს მოელით თურმე ახლო მომავალს ტრანსვაალში: „ჰხნახავთო, უთქვამს მას, რომ დღევანდელისთანა ამბები (ამ დღეს მიიღეს თურმე ცნობა, რომ ინგლისელთა ლინკოლნშირელთა როტა ერთი არტილერიის ბატარეით დატყვევებული იქმნა) ამიერიდგან ისევე ხშირი იქმნება, როგორც ბრძოლის დასაწყისს იყო. 15 აგვისტოს ჩვენში ზამთარი თავდება, და ეს დრო წლისა კი უფრო ხელ-შემწყობია ინგლისის ჯარისთვის, თუმცა ამ მალეულ ზამთრის განმავლობაშიაც მან სამაგიერო ვერა გაიკეთა-რა. რამდენიმე ქალაქი დაიპყრო... რად გვინდა მერე ქალაქები! უქალაქებოდ გვიცხოვრია და კიდევაც ვიცხოვრებთ. ესეც არ იყოს, დავიბრუნებთ კიდევა. ზაფხული დადგება... და აბა მაშინ გაუჭირდებათ ინგლისელებს. ჯერ მარტო ავადმყოფობანი უფრო მეტად ავადებს მუსრს იმათის ჯარს, ვიდრე ჩვენი თოფ-ზარბაზანი. იცოდეთ, რომ ჩვენი გამკლავება მხოლოდ ეხლა იწყება, და ჩვენც ჩვენის ამხანაგებითურთ არა ვქარობთ, დროზედ მოვასწრებთ“...

## ბიბლიოგრაფიული შენიშვნა.

„ამერიკულ ვაზით ვენახის გაშენება“ (მოკლე დარიგება), სიმონ ქვარიანისა, გამოცემა კრებულის რედაქციისა.

გულ-ახდით უნდა ვთქვა, რომ ქართული პრესა, ცოტად თუ ბევრად წინ მიიწევს, პროგრესის გ'ზას დასდგომია, მაგრამ რაც შეეხება სამეურნეო ცნობებს, მას ეს საჭირ-ბოროტო საგანი რადაც განზედ მოუდვია, და დიდი იქნება, რომ წელიწადში რომელმამე გაზეთმა ან ჟურნალმა ამის შესახებ ხმა ამოიღოს. თუმცა კი წინა წლებში „ცნობის ფურცელში“ თითქმის ყოველ დღე გამოდიოდა სამეურნეო რამე რუბ. ნ. მეურნალისა და ვიღაც ლიხელისა, მაგრამ, გატეხილი მოგახსენოთ, საზოგადოების ყურადღება არ დაუმსახურებია. ქართულის ენის უვიცობა, ორიგე წერილებში გამოსჭვიოდა. გეგონებოდათ, ამათ ავტორებს სიტყვა-სიტყვით სხვა ენიდგან უთარგმნიათო. განვიხილოთ პატარა ბროშიურა სიმონ ქვარიანისა. უნდა მოგახსენოთ, რომ მართლაც მშვენივრად, მდაბიოდ და გასაგების ენით უწერია ავტორს წიგნაკი. მიუტანეთ მთლად გაუნათლებელს გლეხს, წაუკითხეთ და, იმედია, გაიგებს. აქ არ არის გაბრტყელებულის, მაბნეულ-მობნეულის ენით არც ერთი საგანი მოხსენებული. ამ წიგნაკში არა აქვს დათმობილი ადგილი არც უხამსო ფრაზეოლოგიას, არამედ შიგ მოხსენებულია უბრალოდ, მკვიდროდ ის, რაც ძლიერ საჭიროა და პრაქტიკაშიც საცნაურ ჰყოფს. ნაკლი მხოლოდ ისა აქვს, რომ ის ადგილები, სადაც ავტორი ვენახის დამყნის სხვა-და-სხვა სისტემას გვიხსნის, ვერ არის სიტყვებით ისე დასურათხატებული, რომ უცოდმა კაცმა თავისუფლად გაითვალისწინოს, თუმცა სურათებიც ჩაურთავს წიგნაკის ბოლოში, რაც წიგნის ღირსებას ამაღლებს. დიდის მადლობის ღირსია ავტორი, რომ სწორედ საჭიროების დროს ყველასათვის ხელ-მისაწვდენი სახელმძღვანელო უძღვნა მუშა ხალხს. წიგნაკი სუფთად არის გამოცემული და ღირს ერთი შაური.

ი. ბელიაშვილი

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

საფრანგეთის ერთს მეფუტკრეს, გვარად მოვანს, როგორც იგი სწერს ჟურნალს „L'Apiculteur“-ში, შეუნიშნავს, რომ ბულბულს დიდი სარგებლობა მოაქვს თურმე მეფუტკრეობისათვის. ბ-ნს მოვანს ბულბული სკების ახლო ჩამოუკიდნია, თვალ-ყური უდევნებია და შეუნიშნავს, რომ ბულბული დაინახავდა თუ არა სკის კარებთან მიფრინილს დედა-ფუტკარს, მაშინვე იჭერდა და სჭამდა, ხოლო მუშა ფუტკრებს-კი ხელს არ ახლებდა. ამ გვარად უცდია ეს შენიშნული ბ-ნს მოვანს: 12 დედა-ფუტკარი მოუკლავს და 6 მუშა ფუტკარი და ფიცარზედ დაუდვია სკის კარებთან. დაუნახავს თუ არა ბულბულს, ფრთხილად მიახლოვებია, დედა-ფუტკრები სულ ერთიანად შეუჭამია და მუშა-ფუტკრები-კი ხელ-უხლებლად დაუტოვებია.

* * *

ჩინეთის შესანიშნავ პოლიტიკოსის ლი-ხუნგ-ჩანგის მეუღლე, მარკიზალი, განთქმულია თურმე თავისის სილამაზით და ჩინელ ქალებ შორის დიდად განათლებულადა და ჭკვიანად ითვლება. იგი ეხლა 60 წლისა იქმნება, თუმცა შეხედულობით 35 წლისასა ჰგავსო. დიდად განთქმულია აგრეთვე მისი ტან-ჩაცმულობა: 3,000-ზედ მეტი კაბა აქვს თურმე. 600-ზედ მეტი ტანისამოსი აქვს, ძვირფასის ტყავეულობით შეკერილი. ეს ქალბატონი იმდენად კოპწია ყოფილა, რომ ორმოც-და-ათ ნაირად ივარცხნის და იხუჭუჭებს თურმე თმას. მოდი და ამას იქით ჩვენს ქალებს დაემდურე, მორთულობისა და გალამაზების მეტი სხვა საქმე არა გაქვთ-რა თქო.

## მეფე ერეკლე II და გიორგი XIII მოძღვარი, მღვდელი ქრისტეფორე ბადრიძე.

—

ერთ შესანიშნავ მოძღვრად საქართველოს საეკკლესიო ისტორიაში უნდა ჩაითვალოს კარის ეკკლესიის მღვდელი უკანასკნელ ორ გვირგვინოსან მეფეთა ერეკლე II და გიორგი XIII ქრისტეფორე ბადრიძე, რომელსაც დიდი მოღვაწეობა მიუძღვის საქართველოში სტამბის გაუმჯობესობით პალესტინიდგან და საეკკლესიო წიგნების გამრავლებითა და ბეჭვდით. ეს შესანიშნავი მუშაკი მღვდელი იყო წინაპარი აზნაურ ბადრიძეებისა, რომელნიც დღეს მოსახლეობენ ს. ნორიოში, ტფილი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სის მაზრაში, 18 ვერსტის სიშორეზედ ქ. ტფილისიდგან. ამ შესანიშნავ საისტორიო მოღვაწის შესახებ არავითარი ცნობები არ დარჩენიათ მისს ჩამომავალთ, ზეპირ-გარდმოცემისა და წყალობის წიგნისა და სიგელის გარდა, რომელიც მე გადმოვწერე. მეფე გიორგი XIII-ს დაუსაჩუქრებია აზ. მღვდელი ქრისტეფორე ბადრიძე შემდეგის წყალობის წიგნითა და სიგელითა: *)

ქ. წყალობითა ღვთისათა, ჩვენ იესიან, დავითიან, სოლომონიან, პანკრატოვანმან მეფემან სრულიად საქართველოისა, კახეთისა სხვათა და სხვათამან, მეცამეტემან გიორგიმ და თანა მეცხედრემან ჩვენმან ციციშვილის ასულმან, დედოფალმან მარიამ, პირმშომან და სასურველმან ძემან ჩვენმან პატრონმან დავით, იოვანე, ბაგრატ, თეიმურაზ, მიხაილ, ჯიბრაილ, ილიამ, ოქროპირმან და ირაკლიმ და მის ძემან ჩვენმან გრიგოლ ესე უკუნისამდე ჟამთა და ხანთა გასათავებელი მტკიცე და უცვალებელი წყალობის წიგნი და სიგელი გიბოძეთ შენ ჩვენს ერთგულს და წესისამებრ დიდათ ნამსახურს და აზნაურიშვილს ბადრიძეს, მღვდელსა ჩვენის კარისასა ქრისტეფორეს, ძმასა შენსა ნაცვალსა ნიკოლოოზსა, შვილსა შენსა დიონოსს და პანტელეიმონს და შვილის შვილსა შენსა იოვანეს, და ძმისწულთა შენთა გიორგის, პეტრეს, იოსებს, დავითს, სოლომონს, აბრაამს და ბადრიძეს მომავალთა სახლისა თქვენისათა ასე, რომა კურთხეულს ბატონს მამა ჩვენს ახლდი, ერევანზედ რომ გაილაშქრა, შენც თან გვახლდი იქ და დაუშრომლად გვემსახურე. მერმე წახველ აღთქმის ქვეყანას. მესტამბობა მიგეღო, მოხველ. საქართველო სამღთო წიგნებისაგან ნაკლებად იყო და თორმეტი ათასი სამღთო წიგნი დაგვიბეჭდე. მეტეხში კურთხეული ბატონი საოფლისაგან ავათ იყო, ორმოცი დღე და ღამე თავდადებით ემსახურე ყოვლის გზით. შემდგომ აღა-მაჰმადხან მოვიდა, ტფილისი დასწვა და ტყვენი მრავალნი დაატყვევნა და ამ ტყვეთაგანნი ბევრნი განჯის ხანსა ჰყვანდნენ ტყვედ. ამავე წელს კურთხეულმან ბატონმა ჯარი შეჰყარა. მივედით, განჯის ციხის გარეშემო დავსწვით, ავაოხრეთ და დავატყვევეთ. რომ დიდად შევაწუხეთ, რაც ციხეში ტყვე იყო განჯის ხანმა მოცემან აღგვითქვა და ხარკი დაიდო, შენ და მის კარბაში იოსებ გაგგზავნეთ განჯის ციხეში ხანთან. იქაც დიდად გაისარჯე. გულ-უშიშრად სახლები და დუქნები დაგევლო და სადაც დამალული ტყვე ჰყოლოდათ, ისიც გეპოვა და სამ დაფად შვიდასი ქრისტიანი ტყვე გამოიყვანეთ განჯის ციხიდგან. მერმე, ვითარცა არს სოფლის ჩვეულობა, კურთხეული მამა ჩვენი თელავს მიიცვალა. მცხეთას უნდა მოგვესვენებინა. მცხეთაში დიდი ჭირი იყო და სვრა. შენ დაუღალავი შეიქენ, თავი გამოიმეტე, მოგვახსენე, რომ მე შევყვები. იახელ თანა, და ქართლიდამ და კახეთიდამ დიაღ მრავალი ხალხი ახლდა თან, მაგრამ შენს მეტი არავინ შეჰყოლია, ვინც შიგ არ იყუნენ მცხეთელთ მეტი ჭირიანები, იქ საფლავს მოუდექი და ემსახურე. შენის სახლიდამ ძმა დაგებარებინა პურით, ღვინით და საკლავებით. აღდგომის დღეს, წირვის უკან სამთავროს გამოსულიყავ და წესისამებრ მართებული ალაპი გარდაგეხადა მცხეთის ხალხნი, რომელნიმე ყოფილიყვნენ დახიზნულნი. შემდგომ ჩვენ გვიახელ და დაღისტნის ჯარი გვყვანდა. ექვსი ათასი სტუმრად. ამათთვის საჩუქრად სპილენძი დაგვჭირდა. სპილენძის მადანი მოშლილი იყო. ჭირი გაჩენილიყო და ბერძნები ხუთის თვის დაფანტულნი იყვნენ. შენ ბერძნული ენა იცოდი და ჩვენის ბრძანებით წახველ, ბერძნები შეკრიფე მადნის ოსტატნი და რაცა ნაკლებობა ჰქონდათ იარაღისა თუ საზრდელისა, შენ შეუსრულე, დიდად ერთგულად და მხნედ გაისარჯე და მალე გაგვასტუმრებინე და აღა-მაჰმადხანმა ქალაქი ტფილისი რომ დასწვა, სტამბის ქარხანაც დაეწვათ. ჩვენ სტამბა დაგვჭირდა, გიბრძანეთ და ესეც დიდის შრომით გამართე და მოგვართვი. და ნაცვლად ამ სამსახურისა შენისა წყალობა გიყავით, ასე რომა პირველად აზნაურიშვილები ყოფილიყავით გვაროვნობით ბადრიძე. ერთი თქვენი გვარისა მარტყოფს მოსულიყო, საგლეხოს კეჟერაანთ ბეითალმანს მამულზედ დასახლებულიყო და გაგლეხკაცებულიყო. ჩვენ ისევ აზნაურიშვილობა და ბადრიძეობა განგიახლეთ და გიბოძეთ. კიდევ გიბოძეთ ზემო ნორიოს ხუთი საკომლო ბეითალმანი მამული: გოგლიანთი, შიუნაური, ჩიტიაშვილისა, კუდაანთი და ქაჩალაანთი. ეს ხუთი საკომლო თავისის ნავენახეობით, სახნავით, სათესით, წყლით, წისქვილით, მთით, ბარით და თავისის სამართლიანის სამზღურებით, რისაც მქონებელნი ყოფილან, უკლებრივ გვიბოძებია. კურთხეულს მამა ჩვენს მარტყოფის ნაცვლობა ორისავე ხევისა თქვენთვის ებოძებინა და ჩვენც ასე დაგვიმტკიცებია და გვიბოძებია სიგელით ამით, რომ არა ოდეს შენის სახლიდამ ნაცვლობა არ მოგეშალოსთ და თქვენც ეს სამსახური დაიდევით წლითი-წლად; ასე რომ თერთმეტს იანვარს, რომელ დღესაც კურთხეული მამა ჩვენი მეფე ირაკლი მიიცვალა, თქვენი ჩამომავლობა უნდა მივიდეს მცხეთას, იმ დღეს ორს მღვდელს და ერთს მთავარ-დიაკონს კურთხეულის მამის ჩვენისათვის აწირვინოს და მწირველთ ჯეროვანი სადილი აჭამოს და სამთავ რვა აბაზი საწირავი მიართვან. არ მოგეშალოს წყალობა ესა ჩვენი არა ჩვენგან და არც შემდგომთა ჩვენთა სხუათა მეფეთა და მეპატრონეთაგან და გააბედნიეროს ყოვლის კაცის უცილებლად ჩვენსა ერთგულობას შიგან და რა ოდენ უმეტესად გვახარებთ, ჩვენგანაც უმეტესს წყალობას მოელოდდეთ. ასე გიბრძანებთ კარისა ჩვენისა ვაქილ ვაზირნო და ჩვენო მოხელენო, ბრძანება ესე ჩვენ თქვენცა ასე დაუმტკიცეთ და ნურავინ შლად ხელ ყოფთ თვინიერ შეწევნისა და თანა დგომისა კიდე. აღიწერა ნიშანი და ბძანება ესე კარისა ჩვენისა კახთ-მდივნის ქობულოვის დავითის ძის მდივნის ოთარის მიერ, დეკემბრის კბ ქრს უპზ და განხორციელებიდგან უფლისა ჩღჟთ.

| | |
|---|---|
| მეფე სრულიად ქართლისა და კახეთისა და სხვათა გიორგი. | დედოფალი მარიამი. |

| | | | |
|---|---|---|---|
| დავით. | იოვანე. | ბაგრატ. | თეიმურაზ. |

ამ სიგელში რომ კუდაშვილის საკომლო სწერია და ქაჩალაშვილის მამულს პატრონნი ჰყოლია და ქაჩალაშვილის სარუსთველო **) ყოფილიყო. ეს ორი კომლი ჩამოგართვით და ამის სამაგიეროთ გიბოძეთ ზემო ნორიოს ფშვნიაშვილისა, ვარსიმაშვილისა, დედაბრიშვილისა და ფოდიაშვილისა, რომ იქმნება შვიდი საკომლო. ამათი ბეითალმანი მამულები, რისაც მქონებელნი ყოფილან, გვიბოძებია თქვენთვის ყოვლის კაცის უცილებლად.

| |
|---|
| მეფე სრულიად ქართლისა და კახეთისა და სხვათა გიორგი“. |

მეფე გიორგი XIII გარდაცვალების შემდეგ მღვდელი ქრისტეფორე დაბრუნებულა თავისს სოფელს ნორიოში, რომელიც მის დროს სულ რამდენისამე კომლისაგან შესდგებოდა და მდებარეობდა „ჯვარაზედ“, მდ. ნორიოხევის მარჯვენა ნაპირზედ, სადაც ამართულია დღეს „ჯვარის“ კოშკი. მის გარშემო დაქცეული შენობანი ცხადად გვიჩვენებს, რომ აქ ერთ დროს ხალხს უცხოვრია. ამ კოშკსა და ალაგს მიუღია „ჯვარის“ სახელი იმიტომ, რომ აქ იყრება ორი გზა, რომელიც ამ კოშკთან ჯვარედინდება. ერთი ამ გზათაგანი ტყისკენ მიდის და იწოდება „ლეკების გზად“. ამ გზაზედ უვლიათ ლეკებსა და უნადგურებიათ როგორც ს. ნორიო, ისე მახლობელი მისი უძველესი ს. მარტყოფი. ეს კოშკი ყოფილა სიმაგრე ნორიოელებისა. ამ კოშკის მაგიერ მღ. ქრისტეფორე ბადრიძეს სდომებია, როგორც ხალხური გარდმოცემა მოგვითხრობს, ტაძრის აშენება, მაგრამ მარტყოფის უკანასკნელ მიტროპოლიტ სტეფანესი და მღ. ქრისტეფორეს შორის დიდი განხეთქილება მომხდარა და მიტროპოლიტს ნება არ მიუცია ქრისტეფორესათვის ტაძარი აეგო ნორიოში. ამბობენ, რომ თვით ქრისტეფორეც მიტროპოლიტს მღვდლობიდგან გადაუყენებია, რომელიც მალე გარდაცვლილა. ტაძრის მასალა კოშკისათვის მოუხმარებიათ და აუშენებიათ „ჯვარის“ კოშკი, რომელიც მოშორებულია ს. ნორიოზედ ერთის ვერსის მანძილზედ ჩრდილოეთით, ამაყად გადაჰყურებს იგი მთელს მიდამოს და მოწამეა მრავალის წარსულის დროისა. მღ. ქრისტეფორეს შთამომავალნი ბადრიძენი, გაუნათლებლობისა გამო, დაქვეითებულან და დაუკარგავთ თავიანთ ქონება და მეფისაგან ნაბოძები ადგილ-მამული. ბადრიძეების გამრავლებისა გამო, მამული დანაწილებულა და დღითი-დღე დაპატარავებულა; ასე რომ 2—3 კომლს ვერ იპოვით მათ შორის, რომ 5—10 დესეტინამდე სახნავ-სათესი მიწა ჰქონდეს.

მასწავლებელი გ. ფარადაშვილი

*) ეს სიგელი გადმოვწერე უმეტნაკლებოდ პირიდგან, რომელიც ჰქონდა აზ. სოლომონ გაბრიელის ძეს ბადრიძეს.

**) სარუსთველო, ე. ი. საეკკლესიო, რადგანაც საეკკლესიო მამულებს და ყმების საქმეს განაგებდნენ მარტყოფის არხიეპისკოპოსნი, რომელნიც იწოდებოდნენ რუსთაველ არხიეპისკოპოსებად ანუ მიტროპოლიტებად. იმ მიზეზისა გამო, რომ მარტყოფის ბოლოს მდებარეობდა ქ. რუსთავი ანუ ბოსტონ-ქალაქი. როდესაც შაჰ-აბაზმა გაანადგურა რუსთავი, მაშინ რუსთავის არხიეპისკოპოსის კათედრა გადატანილ იქმნა ს. მარტყოფში. შესანიშნავი არხიეპისკოპოსი იყო უკანასკნელი სტეფანე, ენისელთ მოურავის ძე, გვარად ჯორჯაძე, რომელმაც ს. მარტყოფში ააგო მშვენიერი ტაძარი ხელთ უქმნელის ხატის სახელობაზედ.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

5 აგვისტო.

**პეტერბურგი.** დეპეშა ადმირალის ალექსეევისა, ტიან-ძინიდგან მოსული: „1 აგვისტოს, ზარბაზნების ერთის დღის სროლის შემდეგ, ჩვენმა და მოკავშირე სახელმწიფოთა ჯარმა ააფეთქა კარები აღმოსავლეთის მხრივ და პეკინში შევიდა.

**ვაშინგტონი.** რემეი იუწყება დეპეშით, რომ პეკინი 2 აგვისტოს იქმნა დაპყრობილიო; საელჩოთა წევრნი უვნებელნი არიან.

იაპონიის ადმირალი იცნობება, რომ მოკავშირე სახელმწიფოთა ჯარს დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს პეკინთანაო; სალამოზედ იაპონელები სხვა ჯარებთან ერთად შეცვივდნენ ქალაქში და დაუყოვნებლივ გარს შემოერტყნენ საელჩოებს, სადაც ყველანი უვნებლად დახვდათ. ჩინელებს მოკლული ჰყავთ 300 კაცი.

**კაპშტადტი.** კიტჩენერმა გური განათავისუფლა ლანდერივერიდგან.

**ლონდონი.** ამბობენ, რომ სეიმურს საბოლოოდ ნაბრძანები აქვს ინგლისის ჯარი შანხაიში გადმოსხასო; ჯარის გადმოსხმას გამო უკმაყოფილება განაცხადეს უმთავრესად საფრანგეთისა და ამერიკის ელჩებმა.

**დონის-როსტოვი.** დონის ნაპირზედ ნავთის საწყობები იწვის; საწყობებს გარდა, ორი ქარხანა დაიწვა; იწვის ნავები, ვაგონები, ტელეგრაფის ბოძები.

**კიევი.** კიევის გუბერნიის ზოგიერთს მაზრებში ჭარხლის პლანტაციებს მატლ-ჭია გაუჩნდა; ზოგიერთი პლანტაცია რამდენისამე საათის განმავლობაში გაანადგურეს. მატლ-ჭია გროვა-გროვად ედება ნათესს; თხრილების გაკეთება არასა ჰშველის, რადგან თხრილები სწრაფად ივსება მატლ-ჭიით.

**პრეტორია.** სამხედრო სასამართლო ასამართლებს პორუჩიკს კორდუას, ბურთა არტილერიისას, რომელსაც პატიოსანის სიტყვის დარღვევა და რობერტსის წინააღმდეგ დაწყებულ შეთქმულებაში მონაწილეობის მიღება ჰბრალდება. ბრალდებულმა აღიარა დანაშაული, ხოლო ამასთანავე განაცხადა, რომ ინგლისის აგენტებმა მიმიმხრეს შეთქმულებაში მონაწილეობის მისაღებადაო.

6 აგვისტო.

**პეტერბურგი.** ხელმწიფე იმპერატრიცა მარია თეოდორეს ასული და დიდი მთავრინა ოლგა ალექსანდრეს ასული დანიაში წაბრძანდნენ.

**ლონდონი.** სიმლიდგან იუწყებიან ავღანის ჯარის სამხედრო ფეხზედ დაყენების ხმის შესახებ, რომ, როგორც სარწმუნო წყაროდგან ვიცით, ქაბულში არა-ჩვეულებრივი არა ხდება-რა.

**შანხაი.** როგორც ჩინელთაგან მიღებულ ცნობებიდგანა სჩანს, მოკავშირე სახელმწიფოთა ჯარი ისე შესულა პეკინში, რომ წინააღმდეგობა მისთვის არავის გაუწევია; პრინცი ცინი დიდად მეგობრულად დახვედრია ჯარს. ყველა ისინი, რომელნიც მტრულად ეკიდებიან ამ ჯარს, ადრევე გასულან ქალაქიდგან; სამეფო ჯარი 29 ივლისს ცნობილ მანჩჟურებით წასულა შანტში; კანსუს ჯარი გასულა დასავლეთის მხარეს, რათა მოკავშირე სახელმწიფოთა ჯარი სულ სხვა მხარეს მიიზიდოს და არ მისცეს საშუალება სამეფო ჯარს უკან დადევნებისა.

**პეტერბურგი.** შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველმა დაადგინა: შეჩერებულ იქმნას სამის თვით გაზ. „Уралъ“-ის გამოცემა.

**პარიჟი.** უმაღლესი ჯილდოები მიესაჯა გამოფენაზედ, სხვათა შორის: ძმა ნობელებს, თურქესტანის საგენერალ-გუბერნატოროს და პეტერბურგის და კავკასიის სიმაგრეთა (?) საინჟინერო გამგეობათ.

7 აგვისტო

**დონის როსტოვი.** 6 აგვისტოს გაჩენილმა ცეცხლმა იმსხვერპლა ორი ქარხანა, სამი ნავთის საწყობი, ორი პურის ბეღელი, რკინის გზის ხიდი და ათამდე სხვა შენობა; მდინარეზედ დაიწვა სამი ნავთის საზიდი დიდი ნავი, ორი ცარიელი და ერთიც გემი; ზარალი მილიონობით არის. ცეცხლის გაჩენის მიზეზი გაუფრთხილებლობაა იმ დროს, როცა ნავთს სცლიდნენ ნავთის შესანახ აუზში.

**ვილჰელმსჰეე.** როდესაც ფელდმარშალი ვალდერზე მიიღო იმპერატორმა კასსელის სასახლეში, შემდეგი სიტყვა წარმოსთქვა: „თქვენს დანიშვნას საფუძვლად დაედო ძლიერის ხელმწიფის, სრულიად რუსეთის იმპერატორის თანხმობა, თანხმობა იმ იმპერატორისა, რომელიც თავისს ძლევა მოსილობას შორეულ აღმოსავლეთის ქვეყნებში აგრძნობინებს ხალხს; ეს გარემოება ერთხელ კიდევ ამტკიცებს: თუ როგორ მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი იმპერიების სამხედრო ტრადიციები. ჩვენის ერის სასარგებლოდ მე მსურს, რომ ჩვენი შეერთებული ექსპედიცია მტკიცე ნიადაგად გარდექმნეს ურთიერთთ შორის პატივის ცემისა და ერთურთთ შორის მშვიდობიანობის დამყარების საქმესა ევროპის სახელმწიფოებს, როგორც ეკადა ამასვე რუსეთის იმპერატორი შარშან სხვა რიგად“.

**ლორენცო-მარკეზი.** იუწყებიან, რომ დევეტმა 4,000 ინგლისელი წაიყვანა ტყვედ და 7 ზარბაზანი წაართვაო. რობერტსმა მიდდელსბურგი დასწმინდა.

**პრეტორია,** დევეტი გუშინ კომანდონეკის ჩრდილოეთით გამოჩნდა, რომელიც ბადენ-პაუელს უჭირავს და მოსთხოვა ბადენ პაუელს, რომ დაემორჩილებოდა; ბადენ-პაუელი დაეკითხა დევეტს, რა პირობებით შეიძლება დამორჩილდეო.

**ლონდონი.** სააღმირალომ გამოაქვეყნა ადმირალის ბრიუსის მიერ 6 აგვისტოს ჩიფუდგან გამოგზავნილი დეპეშა შემდეგის შინაარსისა: „იაპონიის წყაროებიდგან ვტყობილობ, რომ პეკინის ერთს ნაწილს ცეცხლი უკიდია. ქუჩებში ისევ იბრძვიან. იუნლუს იმპერატრიცა პეკინიდგან არსად გაუშვია. შეერთებული ჯარები ქალაქს შუა ნაწილს გარს შემოერტყნენ და ესვრიან. ჩინელები ცხარე წინააღმდეგობას უწევენ.

### წერილი რედაქციის მიმართ

გულითა და სულით ღრმესს მადლობას ვუცხადებთ როგორც ჩვენისა, აგრეთვე ჩვენის მრევლის მხრივ ხონის, წმ. გიორგის სობოროს ეკკლესიის მღვდელს მამა სპირიდონ გორდულაძეს, რომელმაც ჩვენდამი რწმუნებულ სკოლასა და უსასყიდლო წიგნთ-საცავს შემოსწირა 18 ცალი ქართული და რუსული წიგნი და აგრეთვე აღუთქვა მომავალშიაც დიდი შემწეობა.

აგრეთვე გულითადის თხოვნით მივმართავთ პატივცემულს საზოგადოებას, რათა აღმოუჩინონ დახმარება სალხინოს სამრევლო სკოლას და უსასყიდლო სამკითხველოს, რომლებიც დღითი-დღე ჰსაჭიროებენ შემწეობის აღმოჩენას. შემოწირულება მიიღება შემდეგის ადრესით:

Черезъ ХОНИ. Въ Салхинское сельское управленіе, учителю Георгію Цивцивадзе.

გამგე სკოლა-წიგნთ-საცავისა მღვ. რომანოზ გაგუა.

მასწავლებელი გიორგი წივწივაძე

## განცხადებანი

**ჩოხატაურში**

კობიძის შენობაში

**გაიმართა**

**უნაგირების ქარხანა**

ვაკეთებ საუცხოო უნაგირებს ქალებისა და კაცებისათვის: ინგლისურსა, ვენგრიულსა და რუსულსაც. იქვე კეთდება ყოველ გვარი ჩემოდნები.

საქონელი ისყიდება იაფად.

ოსტატი იასე უჯუფხანის ძე ხუნდაძე

(2—152—1)

გამოვიდა ახალი წიგნები:

ა) „უკვდავთა ღაღადებანი“ ფასი: ყდით 20 კაპ., უყდოთ 15 კ.

ბ) ქართული მწერლობა მე X საუკუნემდე, ფასი 40 კაპ.

გ) Царица Тамара, ფასი 50 კ.

დ) Груз. обители внѣ Грузіи, ფ. 25 კ.

ე) Истор. груз. церкви, ფ. 40 კ.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 7-го Августъ 1900 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხ. დროებითი რედაქტორი ვ. ა. სულხანიშვილი. გამომცემელი ილია ჭავჭავაძე